2017 წლის 6 აპრილს ახმეტის მუნიციპალიტეტში გამართული პროექტის „მოწყვლადი თემის და მცირე საწარმოთა გაძლიერება საქართველოს ტურიზმის სექტორში“ დაჯილდოების ცერემონია

2017 წლის 6 აპრილს ახმეტის მუნიციპალიტეტში გაიმართა პროექტის „მოწყვლადი თემის და მცირე საწარმოთა გაძლიერება საქართველოს ტურიზმის სექტორში“ დაჯილდოების ცერემონია. ცერემონიას ესწრებოდნენ ბატონი ტომონორი ჰასეგავა, საქართველოში იაპონიის საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები, ადგილობრივი მთავრობისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წევრები.

აღნიშნული პროექტი, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 2.5 მლნ აშშ დოლარს მსოფლიო ბანკისა და იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით, განხორციელდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ. ცერემონიის ფარგლებში 28 ადამიანი დაჯილდოვდა და გადაეცათ სერტიფიკატები. კახეთისა და იმერეთის რეგიონების მოსახლეობამ მიიღო 240 გრანტი დაახლოებით 379, 387 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 360 ადამიანის ტრეინინგი.

დაჯილდოების ცერემონია

ტრეინინგი საგადასახადო სისტემაში

ბენეფიციარები მათივე ნამუშევრებით

ბავშვები საგუნდო სამოსელით